ლადო პაპავა:
“კვების პროდუქტების გაძვირებაა მოსალოდნელი”

გაზეთი “ახალი თაობა” – 12 ოქტომბერი, 2 243, 2012 წელი.

ინტერვიუ ეკონომიკურ ექსპერტ ლადო პაპავასთან.

– ბატონო ლადო, რას იტყვით ივანიშვილის საკადრო გადაწყვეტილებებზე, რეალურად რა შეინიშნება კოალიციის მხრიდან ხელისუფლების გადაბარების პროცესში?

– პირველი, რასაც ხაზი უნდა გაესვას, არის ის, რომ შეუძლებელია ნებისმიერმა ადამიანმა ისეთი მთავრობა წარმოადგინოს, რომელიც ყველას მოსაწონი იქნება. ყოველთვის მოიძებნება ვიღაც, რომელსაც რომელიღაც კანდიდატი არ მოეწონება და ამის გამო იტყვის, რომ მისმა იმედებმა არ გაამართლა. მთავარია, რომ პირადად ბიძინა ივანიშვილს და მის გუნდს საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ნდობა გამოუცხადა, და აქედან გამომდინარე, თუ ნდობა გამოვუცხადეთ, უნდა მივცეთ საშუალება, რომ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე თავისი გუნდით ჩამოაყალიბოს მთავრობა. რაც შეეხება კრიტიკას, კრიტიკას ჩვენ ყოველთვის მოვასწრებთ იმისდა მიხედვით, საქმეები როგორ წარიმართება; და ერთი რამ: ჯერჯერობით მე არ ვიტყოდი, რომ ივანიშვილის წინადადებები იმსახურებს კრიტიკას.

– თუმცა, ბატონო ლადო, უკვე გამოიკვეთა უწყებების სავადაუდო ხელმძღვანელები.

– გეთანხმებით. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ არცერთი მინისტრისთვის არ არის ერთხელ და სამუდამოდ პოსტი გარანტირებული. ამიტომ თვითონ საქმიანობა აჩვენებს, ვინ რამდენად ამართლებს და ვისი დაწინაურება თუ შეცვლა იქნება საჭირო. რაც შეეხება ისეთ უწყებებს, როგორიც კონტროლის პალატა და ეროვნული ბანკია, ეს ჯერ “მოუკლავი დათვია”, რომ მისი “ტყავის განაწილებაზე” ვილაპარაკოთ. თუმცა ეს ის დათვია, რომლის „მოკლვა“ მაინც შეიძლება. ნუ დაგვავიწყდება, რომ კონტროლის პალატა საპარლამენტო სტრუქტურაა. რაც შეეხება ეროვნულ ბანკს, ეს ძალიან ფრთხილი საკითხია. საერთოდ, ეროვნული ბანკის

პრეზიდენტის ცვლილებას, მე მხარს ასე მარტივად არ ვუჭერ. მაგალითად, თავის დროზე ძალიან დიდ შეცდომად თუ არა დანაშაულად მიმაჩნია, როგორ არ დაამტკიცეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ნოდარ ჯავახიშვილი 90-იან წლებში, კაცი, რომელმაც ლომის წვლილი შეიტანა ლარის შემოღებაში და მიუხედავად იმისა, ჰქონდა მას შეცდომები თუ არა, პარლამენტი და ედუარდ შევარდნაძე მის მიმართ არამართებულად მოიქცნენ. ასევე მიმაჩნია, რომ არ იყო სწორი გადაწყვეტილება, როდესაც რომან გოცირიძე აიძულეს განცხადება დაეწერა და გადამდგარიყო. მოსწონდა ეს ვინმეს თუ არა, ეს სწორი არ იყო. რაც შეეხება ქადაგიძეს, აქ ჩემი აზრით, აშკარად სახეზეა სერიოზული დანაშაული საბანკო სისტემის წინააღმდეგ, რომელიც უწინარეს ყოვლისა, „ქართუ ბანკთან“ მიმართულ ქმედებებში გამოიკვეთა, როდესაც ებრძვი კომერციულ ბანკს, აკოტრებ მას სპეციალურად, მიზანმიმართულად. ჩემი აზრით, შესაბამისი საქმეები გახდება სასამართლოს მსჯელობის საგანი.

– სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება საკმარისი ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის გასათავისუფლებლად?

– მე ვერ ვიტყვი იმას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები იქნება თუ არა საკმარისი იმისათვის, რომ კანონის შესაბამისად განთავისუფლებული იქნეს თანამდებობიდან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ყოველ შემთხვევაში, წმინდა პოლიტიკური მოსაზრებებით, ეკონომიკური მოსაზრებებით, ვთვლი, რომ გიორგი ქადაგიძის ადგილი ეროვნულ ბანკში არ არის. მაგრამ კანონის ძალით ჯერ სასამართლომ უნდა იმსჯელოს მის დანაშაულზე, და როგორ გადაწყვეტილებასაც გამოიტანს, ეს იქნება თუ არა საკმარისი მისი თანამდებობიდან გაშვებისთვის, ამას მე ვერ მოგახსენებთ. ეს უნდა მხოლოდ კანონის ფარგლებში განხორციელდეს. ვისწავლოთ, რომ ყველაფერი უნდა ხდებოდეს კანონის დაცვით და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. ასე რომ, ვფიქრობ, როგორც ეროვნულ ბანკზე, ასევე კონტროლის პალატაზე ბიძინა ივანიშვილის პრეტენზიები სავსებით ბუნებრივია და იმედია, რამდენიმე თვეში შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.

– ნაციონალი ლიდერები ისე წარმოაჩენენ, რომ ივანიშვილის გუნდს ხელისუფლების გადაბარებში პრობლემები არ შეექმნებათ და ყველაფერი განვითარდება დემოკრატიულად. გაუჭირდება ივანიშვილის გუნდს ძალაუფლების ბოლომდე ხელში აღება? სააკაშვილისა და მისი გუნდის მხრიდან ხელისუფლების და გავლენის შენარჩუნების გარკვეული ნაბიჯები აშკარაა.

– შემიძლია გითხრათ, რომ არასდროს არ მჯეროდა განსაკუთრებით ბოლო წლებში სააკაშვილის სიტყვების და ახლა რატომ უნდა დავიჯერო? 9 წელის განმავლობაში იმდენი გვატყუა, ახლა რატომ უნდა დავიჯერო. უცებ ბოროტების მწვერვალი სათნოების სიმბოლო გახდა? არ მჯერა მე მაგისი. მართალია, სააკაშვილს არ აქვს ძლიერი ბერკეტები და მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით გატეხილია, მაგრამ მას მაინც შეუძლია ცუდი ამბები გააკეთოს რწმუნებულების თუ გამგებლების ინსტიტუტების გამოყენებით, რომლებსაც ის კონსტიტუციიდან გამომდინარე აკონტროლებს. ამიტომ მივესალმები ვახტანგ ხმალაძის ინიციატივებს, რომელიც მან ამასწინათ გააჟღერა, რომ კონსტიტუციაში სასწრაფოდ იქნეს მიღებული რამდენიმე ცვლილება. როგორც მან თქვა, ერთ-ერთი ასეთი ცვლილება არის არა პრეზიდენტის იმპიჩმენტის განხორციელება, რომელიც საკმაოდ რთულია და შეიძლება დასავლეთმაც კარგად არ აღიქვას, არამედ მარტივი ცვლილება, რომ სააკაშვილი რჩება თავის ადგილზე, ოღონდ ის კონსტიტუციური ჩანაწერი, რომ ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, შეიცვალოს ჩანაწერით, რომ ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება, ვთქვათ, 2013 წლის 1 იანვრიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრი გახდება ქვეყნის მეთაური და პრეზიდენტი შეინარჩუნებს მხოლოდ ფორმალურ ფუნქციებს, ანუ პრაქტიკულად ის იქნება უფუნქციო ფორმალური სტატუსით. ეს იქნება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომელიც იქნება იმის გარანტი, რომ სააკაშვილმა მცირე, მაგრამ მაინც ბოროტებები არ ჩაიდინოს. ამ შემთხვევაში იქნება სწორი გადაწყვეტილება იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს უკრაინის საკმაოდ მწარე გამოცდილება. როდესაც გონებასუსტი იუშენკო ხელს უშლიდა რეფორმატორ ტიმოშენკოს, ბლოკავდა მისი მთავრობის საქმიანობას სწორედ ადგილზე დანიშნული ხელმძღვანლების საშუალებით. მე არ მინდა, რომ საქართველოშიც სიტუაცია სწორედ ამ სცენარით წარიმართოს. ამიტომ ვთვლი, რომ ხმალაძეს, რომელსაც ჩაბარდა პარლამენტის იურიდიული კომიტეტი, ხელეწიფება, რომ პარლამენტში ეს საკითხი დააყენოს, თუმცა დღევანდელი თანაფარდობით 30 ხმა კიდევ არის საჭირო, რომ კონსტიტუციაში ცვლილება შევიდეს.

– არის შესაძლებელი ამ 30 ხმის მოგროვება პარლამენტში?

– ვფიქრობ, რომ რეალურია.

– ბატონო ლადო, სააკაშვილის გუნდში მიაჩნიათ, რომ „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო დანაპირების შესრულება გაუჭირდება. ეკონომიკურ რყევებს უნდა

ველოდეთ? ჯერ ითქვა, ხაზინა ცარიელიაო, შემდეგ ვანო მერაბიშვილმა განცხადება გააკეთა, ხაზინაში 2 მლნ-მდე ლარიაო.

– საერთოდ, მიმაჩნია, რომ ის ვინც პოლიტიკურ გუნდში წერს პროგრამას, შემდეგ ამ პროგრამის დამწერი ლიდერი იკავებს ამ სფეროში საკვანძო პოსტს პოლიტიკურ თანამდებობაზე. ჩემთვის ცოტა არ იყოს გაუგებარია, პროგრამა დააწერინო პეტრეს და მინისტრად პავლე დანიშნო, რომელიც შეიძლება სულაც არ იცნობდეს ამ პროგრამას. ამიტომ მე მრჩება იმის განცდა, რომ ის, ვინც დაწერა „ქართული ოცნების“ ეკონომიკური პროგრამა, ის მთავრობაში არ არის. ამან შეიძლება გარკვეული პრობლემა შექმნას იმიტომ, რომ საზოგადოებაში ის რაც გაჟღერებულია, იმის ავტორები, გამააზრებლები ერთია, ხოლო ლანგარზე მინისტრის თანამდებობა სულ სხვა პიროვნებამ შეიძლება მიიღოს, რომელსაც არავინ არ ელოდა. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, პრობლემაა, თუ რა ბიუჯეტი დახვდება ახალ მთავრობას. ივანიშვილმა განაცხადა, რომ ხაზინა ცარიელია. ალბათ მისი ეს განცხადება რაღაცას ეფუძნება. მე არ მაქვს ეს ინფორმაცია. მე არც ის ინფორმაცია მაქვს, რომ ხაზინაში 2 მლრდ-ია, როგორც ეს მერაბიშვილმა თქვა. ეს ყველაფერი ძალიან მალე გაირკვევა, როდესაც ახალი ფინანსთა მინისტრი შევა სამინისტროში და გაერკვევა ვითარებაში. ალბათ ამაზე შესაბამის განცხადებასაც მოვისმენთ. ისე პრობლემები ძალიან ბევრია, მათ შორის ინფლაციური პროცესები, რომელიც ხელოვნურად იყო მოთოკილი და ეს საფრთხე ქვეყანაში არსებობს. პირველ რიგში, კვების პროდუქტების გაძვირებაა მოსალოდნელი და, კერძოდ, საუბარია პურზე. ამიტომ, რომ პურზე ფასები მსოფლიო მასშტაბით იზრდება და საქართველო ძირითადად იმპორტირებული ხორბლით არსებობს. ამიტომ პურის გაძვირება დიდი ალბათობით მოსალოდნელია. აი, ეს არის ყველაზე ახლო მომავალში მგრძნობიარე პრობლემა. ყველა გამოკითხვით ყველაზე მგრბობიარე პრობლემა იყო დასაქმება ანუ ხალხს ყველაზე მეტად აწუხებდა უმუშევრობა. რეალურად დასჭირდება ივანიშვილის მთავრობას, რომ ტენდენცია მაინც ჩამოყალიბდეს, რომ ხალხს ეს განცდა მოეხსნას, რომ ისინი არიან იუმედოდ უმუშევრები. ამიტომ ვიძახი, ის ვინც პროგრამა დაწერა და ის ვინც მინისტრად დაინიშნა თუ ერთიდაიგივე ადამიანი არ არის, აქ შეიძლება გარკვეული აცდენა იყოს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ პარტიული პროგრამა იყო არჩევნებისთვის. ამ პროგრამის დამტკიცება მთავრობის პროგრამად, არ ივარგებს. იმიტომ, რომ მიუხედავად იმისა,

რომ „ქართული ოცნების“ ეკონომიკური პროგრამა ძალიან კარგად არის დაწერილი, მას ხარვეზები მაინც აქვს, ის არის პარტიის საარჩევნო პროგრამა. ეს ვერ იქნება მთავრობის პროგრამა. რა თქმა უნდა, თუ ამას დაამტკიცებენ მთავრობის პროგრამად, ეს ბევრად უკეთესია, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა პირდებოდა მოსახლეობას ამ 9 წლის განმავლობაში აბრიყვებდა და ხან 5 გვერდიან და ხან 7 გვერდიან მოწოდებებს ამტკიცებინებდა პროგრამად. ეს დოკუმენტი არ არის მთავრობის პროგრამა. ამ დოკუმენტს სჭირდება გარდაქმნა მთავრობის პროგრამად. იმიტომ, რომ ეს დოკუმენტი არის ზოგადი, მთავრობის პროგრამა კი კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი.

შორენა კოწოწაშვილი